ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა საფეხურის საგამოცდო პროცესთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების წესი, პირობები და ვადები

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის პირობებში, ნებადართულია ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდეს ამავე უნივერსიტეტის მიერ შეგროვებული და დამუშავებული მონაცემები. ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას ის გარემოება, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს დამუშავებული მონაცემების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც კანონიერი მიზნის მისაღწევად საკმარისი და აუცილებელია;

2. ამ წესის პირველი პუნქტით განსაზღვრული მონაცემების უნივერსიტეტისთვის გადმოცემისას (განაცხადის შემოტანისას) საგამოცდო პროცესში მონაწილე პირი გამოხატავს თანხმობას აღნიშნული მონაცემების გარკვეული ვადით გასაჯაროების თაობაზე;

3. ამ წესის პირველი პუნქტით განსაზღვრული მონაცემების განთავსებისას იქვე უნდა მოხდეს მონაცემთა განთავსების ვადის მითითება. ვადის განსაზღვრა ხდება იმავე პირის მიერ, ვინც არის მონაცემთა განთავსების ინიციატორი. ვადა განისაზღვრება კონკრეტული მონაცემების განთავსების კანონიერი მიზნის პროპორციულად;

4. ამ წესის მიხედვით გასაჯაროებული მონაცემების განთავსების ვადისა და მოცულობის მონიტორინგი ევალება უნივერსიტეტის იმ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უშუალოდ ამუშავებს კონკრეტულ მონაცემებს და არის ვებ-გვერდზე განთავსების ინიციატორი;

5. ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ხდება მონაცემების წაშლა ვებ-გვერდიდან იმგვარად, რომ ის აღარ იყოს ხელმისაწვდომი ინტერნეტ-სივრცეში.